გელა ცაავა[1]
ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.28

ბრაიან ჯორჯ ჰიუიტის „აფხაზური სიმპათიები" და ანტიქართული განწყობები

აბსტრაქტი. აღნიშნულ სტატიაში განხილულია ჯორჯ ბრაიან ჰიუიტის ანტიქართული განწყობები. აქვე საუბარია ჰიუიტის განცხადების შესახებ, რომ ქართველებსა და აფხაზებს შორის გაჭიანურებული კონფლიქტი დასრულდება მხოლოდ საქართველოს მიერ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის" აღიარებით და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება დევნილების დაბრუნება რეგიონში. ჰიუიტის მოსაზრებით, აფხაზების სიძულვილი ქართველების მიმართ კვლავ ძლიერია. მას სჯერა, რომ როდესაც ქართველები აღიარებენ ოკუპირებული აფხაზეთის „დამოუკიდებლობას" როგორც „მეზობლები", აღადგენენ მეგობრულ ურთიერთობებს, მაშინ ისინი ერთმანეთთან მშვიდად იცხოვრებენ. წარმოდგენილ ნაშრომში საუბარია იმის შესახებ, რომ ფალსიფიცირებული ისტორიით, ჰიუიტი არაერთხელ ცდილობს წარმოაჩინოს აფხაზების აუტანელი არსებობა „ქართული კოლონიალიზმის" პირობებში, აღწეროს მათი თავგანწირული ბრძოლა „დამოუკიდებლობისთვის".

საკვანძო სიტყვები: ოკუპირებული აფხაზეთი, ბრაიან ჯორჯ ჰიუიტი, კონფლიქტი, ანტიქართული განწყობები.

Gela Tsaava[2]
Georgian-American University

Brian George Hewitt's „Abkhazian Sympathies'' and Anti-Georgia Attitudes

The report discusses the anti-Georgian sentiments of George Brian Hewitt. Hewitt says that the protracted conflict between Georgians and Abkhazians will only come to an end with Georgia's recognition of Abkhazia's independence and after that it will be

---

[1] **გელა ცაავა** - რუსეთისმცოდნეობის დოქტორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის ასოცირებული პროფე სორი.

[2] **Gela Tsaava** - Doctor in Russian Studies, Associate Professor of Georgian - American University;

possible to return the IDPs to the region. Hewitt says that Abkhazian's hatred of Georgians is still very strong. So only the distant future can be talked about. He believes that when Georgians recognize the independence of occupied Abkhazia and as neighbors, restore friendly relations, then they will live side by side in peace. With a falsified history, Hewitt will repeatedly try to portray the unbearable existence of Abkhazians in the conditions of „Georgian colonialism", to describe their selfless struggle for independence.

***Keywords**:* Occupied Abkhazia, Brian George Hewitt, Conflict, Anti-Georgian Sentiments.

ძირითადი ნაწილი. ოკუპირებული აფხაზეთის ე. წ. „საპატიო კონ-სული" დიდ ბრიტანეთში, კავკასიოლოგი *ბრაიან ჯორჯ ჰიუიტი* აცხადებს, რომ ქართველთა და აფხაზთა გაჭიანურებულ კონფლიქტს მხოლოდ საქართველოს მიერ „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით" დაესმება წერტილი და ამის შემდეგ შესაძლებელი იქნება რეგიონში დევნილების დაბრუნება. ჰიუიტის განცხადებით, აფხაზები არასოდეს გახდებიან უმცირესობა თავიანთ „მშობლიურ მიწა-წყალზე" და ამ ეტაპზე დევნილთა დაბრუნება აფხაზების დაინტერესების სფეროში არ შედის (წულაძე, 2010).

ჯ. ჰიუიტმა ქ. თბილისში გაიცნო და 1976 წელს დაქორწინდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტ, ეროვნებით აფხაზ, *ზაირა ხიბაზე.* საყურადღებოა *სუკის* დამუშავების საქმეში არსებული ერთ-ერთი აგენტის მინიშნება აღნიშნული ქორწინების შესახებ: *„აღსანიშნავია, რომ მისი მეუღლე მასზე 5 წლით უფროსი იყო და როგორც ქალი არ არის მიმზიდველი"*. ჰიუიტს ქალები ნაკლებად აინტერესებდა. ხიბაზე ქორწინება მას უფრო მნიშვნელოვან „მიზანთან" აახლოებდა.

დაქორწინების შემდეგ, ჯ. ჰიუიტი პერიოდულად ჩამოდიოდა საქართველოში, მეგობრობდა კულტურის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან. თავიდანვე დაუახლოვდა ქართველ მეცნიერებსა და დისიდენტებს, მათ შორის *ზვიად გამსახურდიას*, რის გამოც მოხვდა *სუკის* თვალთახედვის არეში და მიმდინარეობდა მისი აქტიური „დამუშავება" (ექსპერტთა კლუბი, 2015).

1979 წლის ივნისში ყარაჩაი-ჩერქეზეთის დედაქალაქ ჩერკესკში ჩატარდა VIII რეგიონული სამეცნიერო სესია იბერიულ-კავკასიურ ენათა სისტემისა და ისტორიის საკითხების შესახებ. აღსანიშნავია, რომ სხდომის გახსნაზე პრეზიდიუმში, საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარესთან აკადემიკოს *არნოლდ ჩიქობავასთან* ერთად, იყვნენ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, ჩრდილოეთ კავკასიის ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების მეცნიერები, აგრეთვე, სპეციალისტები თბილისიდან, სოხუმიდან და მოსკოვიდან. სოხუმის დელეგაციას ჩამოჰყვა დამწყები ინგლისელი

მკვლევარი (იმ დროს მხოლოდ ორიოდე სტატია ჰქონდა გამოქვეყნებული) ჯორჯ ჰიუიტი, რომელმაც შემდეგ აქტიური ანტიქართული საქმიანობით გამოიჩინა თავი. ერთი თბილისელი სპეციალისტი ბ-ნ არნოლდთან მივიდა (სხდომის პრეზიდიუმში) და უთხრა: დარბაზში უცხოელი სპეციალისტია ჯორჯ ჰიუიტი და კარგი იქნება, თუ პრეზიდიუმში მოვიწვევთო. ბ-ნი არნოლდი ამ წინადადებამ აღაშფოთა (თვალები აენთო, თითქოს თვალებიდან ნაპერწკლებს ყრისო – განრისხებისას ასე იცოდა, რაც, ბუნებრივია, ხშირად არ ხდებოდა) და წინადადების ავტორს აღელვებული ტონით უსაყვედურა: *„ჯერ კავკასიოლოგიაში რა გაუკეთებია, რომ პრეზიდიუმში წამოვასკუპოთ, ხომ უნდა დამთავრდეს ჩვენი პროვინციალიზმიო“*. აღნიშნული პირის უკეთურება იყო იმის მიზეზი, რომ ბ-ნი არნოლდი შემდეგშიც, ბევრისაგან განსხვავებით, მას არ იკარებდა (შენგელია, 2016: 64).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ჯ. ჰიუიტი არაერთხელ იმყოფებოდა აფხაზეთში, რომლის დროსაც ხშირად სტუმრობდა *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი გულიას სახელობის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს*, რომელსაც 1988 წელს სათავეში ჩაუდგა მომავალში „დამოუკიდებელი“ აფხაზეთის პირველი „პრეზიდენტი“ *ვლადისლავ არძინბა*. ამ პერიოდში ჯ. ჰიუიტი მუშაობდა ლონდონის უნივერსიტეტის აზიის განყოფილებაში. 1989 წლიდან მას ეკავა აშკარა პროაფხაზური პოზიცია და დღემდე ეწევა პროვოკაციულ საქმიანობას, ქართველ და აფხაზ მეცნიერებს შორის შუღლის გაღვივების კუთხით. თუ თავდაპირველად საქართველოს ჰიუიტი მეორე სამშობლოს უწოდებდა და თავს ქართველოლოგად მიიჩნევდა, შემდეგ უკვე კავკასიოლოგის ამპლუაში მოგვევლინა. 1989 წლის 21 ივლისიდან, მას შემდეგ, რაც მან გაზეთ *„ლიტერატურულ საქართველოში“* გამოაქვეყნა წერილი *„უცხოელის დაკვირვებანი აფხაზებისა და ქართველების დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებაზე, ღია წერილი ქართველებს“*(ჰიუიტი, 1989) მისი კონტაქტები ქართველებთან შეწყდა. ეს პუბლიკაცია, სავსებით სამართლიანად აღქმულ იქნა აფხაზური სეპარატიზმის მხარდაჭერად.

ჯ. ჰიუიტი აცხადებდა: *„1979 წელს ქართველები წარმოადგენდნენ აფხაზეთის მოსახლეობის 43 პროცენტს. მაგრამ უნდა დავსვა კითხვა – ვინ და ვინ არიან ეს „ქართველები“? თითქმის გამონაკლისის გარეშე ესენი გახლავან მეგრელები და მეგრელთა დედა-ენა (და არა დედა-დიალექტი!) გახლავთ მეგრული: – უმრავლესობამ კი იცის ქართულიც, მაგრამ ეს არის მათი მეორე ენა (მესამე იქნება რუსული). როგორც ენათმეცნიერმა და კავკასიოლოგმა უნდა გი-*

თხრათ, რომ გადაჭარბებული არ არის იმის თქმა, რომ აფხაზური გადაშენების პირას დგას და, თუ თქვენ არ მიიღებთ შესაბამის ზომებს, რათა უზრუნველყოთ აფხაზურის სწავლა და გამოყენება, რამდენიმე თაობის შემდეგ გაქრება, როგორც გაქრა მისი დედაენა (უბიხური). სხვათა შორის როგორღა უზრუნველვყოთ სვანურისა და მეგრულის მომავალი, თუკი ნებას დამრთავთ ცხვირი ჩავყო ამ საქმეში?!" (ჰიუიტი, 1989: 2). როგორც ვხედავთ, ჯ. ჰიუიტი წუხდა, არამხოლოდ აფხაზური ენის მომავალზე, არამედ მეგრულსა და სვანურზეც.

გაზეთ *„ლიტერატურული საქართველოს"* რედაქციამ და ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა გაზეთის იმავე ნომერში სწორად შეაფასეს ზემოხსენებული წერილის მიზანიც, მიმართულებაც და ის მოსალოდნელი შედეგებიც, რისთვისაც შედგენილი იყო ჰიუიტის ეს წერილი, რომელიც სასწრაფოდ ითარგმნა რუსულ ენაზე და ნაბეჭდი ფურცლების სახით ვრცელდებოდა მთელ აფხაზეთში.

ჰიუიტის ამ სტატიას ქართველ მეცნიერთა აღშფოთება მოჰყვა. მას გამოეხმაურნენ: ბესარიონ ჯორბენაძე, ნოდარ ლომოური, თეიმურაზ გვანცელაძე, კახა გაბუნია, თენგიზ შარმანაშვილი და სხვ.

ბესარიონ ჯორბენაძე პასუხობდა ქართველოლოგს: „ბატონი ჯორჯი დაჟინებით იმეორებს იმ ყალბ, ვერაგულ აზრს, რომელიც ქართველი ერისაგან მეგრელების გამოცალკევებას ისახავს მიზნად. გაუგებარია, რატომ აძლევს ბატონი ჯორჯი თავის თავს უფლებას, ჩაერიოს იმ საკითხში, რომლისა მას ცოტა რამ თუ გაეგება და რომელიც მთლიანად ეფუძნება ქართველებისადმი აშკარად მტრულ პოზიციას, შემაგრებულს ქართველების არაკეთილმოსურნეთაგან ყურმოკრულ „დასაბუთებებით". ნუთუ ბატონმა ჯორჯმა არ იცის, ქართულ ეროვნულ კულტურას ქართულ ეროვნულ ენაზე ერთობლივ ქმნიდნენ კახელები, ქართლელები, გურულები, იმერლები, მეგრელები, სვანები, ფშაველები და ქართველთა სხვა ტომის ხალხი, რომლებიც მთლიანობაში ქართველ ერს წარმოადგენენ. რაც შეეხება „მეგრულისა და სვანურის მომავალს", რომელსაც ასე შეუწუხებია ბატონი ჯორჯი, მას, ქართულ ენათმეცნიერულ სკოლასთან ასე თუ ისე გაცნობილ პიროვნებას, ალბათ მოეხსენება ამ ენების შესწავლის მდგომარეობა და დონე საქართველოში, ასევე ისიც, რომ ამ ენებს გაქრობის საფრთხე არ ემუქრება (ისევე როგორც ქართული ენის მრავალრიცხოვან დიალექტებს). თუ იცის და მაინც სხვას ამბობს, რბილად რომ ვთქვათ, არ ეკადრება; თუ არ იცის, მაშინ იქნებ, როგორც თვითონ ბრძანებს, მორიდებოდა „ცხვირის ჩაყოფას ამ საქმეში" (ჯორბენაძე 1989: 3).

სამწუხაროდ, უშედეგოდ დასრულდა ქართველი ინტელიგენციის მნიშვნელოვანი ნაწილის მცდელობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იმჟამინდელი რექტორის *ნოდარ ამაღლობელის* ხელმძღვანელობით საპროტესტო წერილი გაეგზავნათ ქ. მოსკოვში ინგლისის საელჩოში მათი მოქალაქის არაკეთილსინდისიერი და პროვოკაციული ქმედებების განხორციელების შესახებ. საპროტესტო წერილის გაგზავნას კრემლმა შეუშალა ხელი. ჯ. ჰიუიტთან პაექრობისას *ოთარ ჭილაძე* პირადულ მოტივს გამორიცხავს. ის გაოცებულია, რომ მეცნიერი, რომელმაც ქართული ენა შეისწავლა, გულგრილი და უგრძნობელი დარჩა *„ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ბედისა და უბედობის მიმართ“*. მწერალს უკვირს, ჰიუიტი თავს უფლებას რომ აძლევს, მთელ ხალხს *„ჩაუდენელი დანაშაულის მონანიებაც მოსთხოვოს“* (კვატაია, 2019: 113).

1989 წ. ივლისის თვეში, ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებამდე რამდენიმე დღით ადრე ჰიუიტი ჩამოვიდა საქართველოში. იგი თავის პუბლიკაციებში მუდმივად ღიად აკრიტიკებდა ქართულ მხარეს, გამოდიოდა მეგრული „სახელმწიფოს შექმნის“ ინიციატივით, ეწეოდა ოკუპირებული გალის რაიონში მეგრული ენის ოფიციალურ ენად გამოცხადების და მეგრული ტელევიზიის შექმნის იდეოლოგიას, ამავდროულად რადიო *„ამერიკის ხმა“*-ში აცხადებდა, რომ მეგრულ ენას უნდა მიენიჭოს სალიტერატურო ენის სტატუსი, როგორც სამეგრელოში ასევე აფხაზეთში, რომ მეგრელები, სვანები და ლაზები არასდროს არ მიაჩნდა ქართველებად. სხვა პუბლიკაციაში ჰიუიტი აღნიშნავდა, რომ აფხაზების სურვილია, რომ მათ დაინახონ მეგრელები, რომლებიც არ არიან ასოცირებულნი „მტრულ ერთან“, ხოლო საქართველო ამბობს, რომ ისინი ქართველები არიან (Вартанян, 2014).

საბჭოთა კავშირის დაშლისა და აფხაზეთში განვითარებული საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგ, მან აქტიური „საქმიანობა“ განაგრძო დიდ ბრიტანეთში, ოკუპირებული აფხაზეთის როგორც „დამოუკიდებელი სახელმწიფოს“ ევროპაში პოპულარიზაციის მიმართულებით. ამავე პერიოდ-ში მან „შეიმუშავა“ საქართველოში კონფლიქტების მოგვარების „კონცეფცია“, სადაც აღნიშნულია:

- ქართველები უნდა გათავისუფლდნენ „ნაციონალიზმისგან“ და აღიარონ „შეცდომები“ აფხაზებთან და ოსებთან მიმართებაში“;
- აფხაზებს საქართველოს მხრიდან განადგურების საფრთხე აღარ დაემუქრებათ, თუ მათ შორის ჩამოყალიბდება „ბუფერული ზონა“ – „სამეგრელოს სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის“ სახით;
- უნდა შეიქმნას „კავკასიის კონფედერაცია“, რომლის სუბიექტები იქნებიან: აფხაზეთი, სამეგრელო, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბაღი,

სომხეთი და „სამხრეთ ოსეთი“.[3]

ჰიუიტი, როგორც ოკუპირებული აფხაზეთის „საპატიო კონსული“ დიდ ბრიტანეთში, პერიოდულად ჩადის და ლექციებს კითხულობს აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (სამეგრელო…, 4).

2008 წლის ომის წინა პერიოდში გაჩნდა მაქსიმ გურეევის სრულმეტრაჟიანი პუბლიცისტური ხასიათის ფილმი *„Абхазия. Взгляд из Европы“*, რომლის „სცენარის ავტორი“ და „ფილმის მთავარი გმირი“ ჰიუიტია. რამდენიმე ენაზე თარგმნილ ე. წ. დოკუმენტურ ფილმში ფალსიფიცირებულია ოკუპირებული აფხაზეთის ისტორია. ფილმის რუსულენოვან ანოტაციაში აღნიშნულია, რომ აფხაზეთის შესახებ ბევრს საუბრობენ, რომ მან გაუძლო ჯერ ომს, შემდეგ „ეკონომიკურ ბლოკადას“ და „საერთაშორისო აღიარებაც“ მოიპოვა და ამ „სუვერენული ქვეყნის“ ისტორია ცოტამ თუ იცის. ზემოხსენებულ ფილმში საერთოდ არ არის ნახსენები, რომ ოკუპირებული აფხაზეთი ძირითადიდ ქართველთა საცხოვრისს წარმოადგენდა.

ბუნებრივია, ფილმის ავტორები არ ახსენებენ არც იმას, რომ ე. წ. აფხაზი სეპარატისტები სინამდვილეში კრემლისაგან მართულნი არიან. საერთოდ, ფილმში ხდება რუსეთ-საქართველოს ომის აფხაზეთის ეპიზოდის რეალური ისტორიის მიჩქმალვა და საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაცია. ასევე არ ჩანს ის, რომ აფხაზეთის ომში საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის ფედერაცია და სწორედ მან მოახდინა საქართველოს ამ ისტორიული ნაწილის ოკუპაცია. მიზანი ნათელია: სანახაობრივი დეზინფორმაციული მასალით მსოფლიო საზოგადოების შეცდომაში შეყვანა. ავტორთა მიზანი იყო, მსოფლიო საზოგადოება შეემზადებინა, თითქოსდა ოკუპირებული აფხაზეთი საქართველოს მხოლოდ ტერიტორიულად ესაზღვრება და ოდითგან არის დამოუკიდებელი სახელმწიფო უძველესი ისტორიითა და თვითმყოფადი კულტურით, რომ საქართველომ აფხაზეთის რეგიონი დაიპყრო და ამ პატარა და „დაუცველ ქვეყანას“ იდენტობის დაკარგვით ემუქრება.

ჰიუიტი ახლო ურთიერთობაში იმყოფება ყოფილ და მოქმედ სეპარატისტულ ლიდერებთან და სრულად იზიარებს მათ ანტიქართულ განწყობებს. იგი ამასთანავე მეგობრობდა, ქართველების დაუძინებელ მტერთან, „მთიელ

---

[3] ჰიუიტის აზრით, მეგრული ენის „სახელმწიფო ენად აღიარებით“ უნდა შეიქმნას *„სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფო“, რომელიც ხელს შეუწყობს „ქართულ-აფხაზური კონფლიქტის“* დარეგულირებას (George Hewitt, Abkhazia: A problem of identity and ownership.– *Central Asian Survey*. Vol. 12, №3, 1993; George Hewitt. Yet a third consideration of Völker, Sprachen und Kulturen des südlichen Kaukasus. – *Central Asian Survey*. Vol. 14, №2, 1995).

ხალხთა კონფედერაციის ხელმძღვანელ“ *მუსა (იური) შანიბოვთან.* 2014 წლის 10 აგვისტოს, ჰიუიტი ოკუპირებულ სოხუმში შეხვდა იმდროინდელ დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრ *ვიაჩესლავ ჩირიკბას*, რომელთანაც განიხილა „მთავრობის“ ევროპის ქვეყნებთან კავშირის, აფხაზეთის მოსახლეობისათვის ევროპის ქვეყნებში შესვლისათვის საჭირო ვიზების გამარტივებული გზით მიღებისა“ და უცხოეთში აფხაზი ახალგაზრდების განათლების მიღების საკითხები. ჰიუიტი აცხადებს, რომ აფხაზების მხრიდან სიძულვილი ქართველების მიმართ, ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია. ასე, რომ მხოლოდ შორეულ მომავალზე შეიძლება საუბარი. იგი მიიჩნევს, რომ როდესაც ქართველები აღიარებენ „აფხაზეთის დამოუკიდებლობას“ და როგორც „მეზობლები, მეგობრულ ურთიერთობებს აღადგენენ“, მაშინ იცხოვრებენ ერთმანეთის გვერდზე მშვიდობიანად.

ერთ-ერთ ინგლისურენოვან გამოცემასთან ინტერვიუში ჰიუიტის განცხადებით, შერიგების აუცილებლობის აღიარება არ ნიშნავს, რომ აფხაზეთი უნდა შევიდეს უნიტარულ ქართულ სახელმწიფოში. აფხაზები დარწმუნებულნი უნდა იყვნენ თავიანთი „დამოუკიდებლობის“ მისაღწევად და დაიწყონ ასეთი საკითხების განხილვა, რაც აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეთნიკური ჯგუფის (მათ შორის ოკუპირებული გალის რაიონში მცხოვრები ქართველების ჩათვლით) „პოლიტიკურ პროცესებში“ სრულად „ჩართვას“ გულისხმობს (Hewitt, 2010).

ოკუპირებულ აფხაზეთს ჯ. ჰიუიტი 2015 წელსაც „ეწვია“, რომლის დროსაც ის იმდროინდელმა „პრეზიდენტმა“ რაულ ხაჯიმბამ მიიღო. ე. წ. შეხვედრისას ხაჯიმბამ და ჰიუიტმა *განიხილეს „საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხთა ფართო წრე“.* ზემოხსენებულ *„შეხვედრაზე განიხილეს აფხაზეთის საერთაშორისო იმიჯის თავისებურებები და სიტუაციის ასპექტები ოკუპირებული გალის რაიონში“.* ჰიუიტმა ხაჯიმბას დეტალური ინფორმაცია მიაწოდა დიდ ბრიტანეთში „საპატიო კონსულის რანგში თავისი საქმიანობის შესახებ“ (Abkhazia inform, 2015). ჰიუიტი ამავდროულად შეხვდა, იმდროინდელ დე ფაქტო თავდაცვის მინისტრ მირაბ ქიშმარიას, რომელმაც „საპატიო სტუმარს“ ე. წ. მედალი „სამხედრო თანამშრომლობისათვის“ და ცეცხლსასროლი იარაღი „კარაბინი СКС“ გადასცა (abkhazinform, 2015).

ჰიუიტის მოსაზრებით, აუცილებელია, რომ ქვეყნებმა, რომლებიც თავს საქართველოს მეგობრებად თვლიან, გარკვეული ზეწოლა მოახდინონ საქართველოს ხელისუფლებაზე და დაარწმუნონ, რომ მათ ინტერესებში შედის „აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება“ და „კეთილმეზობლური ურთიე-

რთობების დამყარება“. ჰიუიტის განცხადებით, საქართველოს შიდა პოლიტიკის თვალსაზრისით, რამდენად შესაძლებელია ქართველმა პოლიტიკოსმა ღიად განაცხადოს, რომ საქართველომ უნდა აღიაროს აფხაზეთის დამოუკიდებლობა 23 წლის შემდეგ ლაპარაკით იმაზე, რომ აფხაზეთი არის საქართველოს ნაწილი (Хьюитт, 2015). 2010 წელს, ჰიუიტი თავის ერთ-ერთ სტატიაში აცხადებდა: *„1992 წელს დასავლეთმა აფხაზებისა და ოსების თვითგამორკვევის უფლებები უგულვებელყო და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მხარის დაჭერა ამჯობინა. ეს ნაბიჯი კი დიდი შეცდომა იყო. გახარებული საქართველო ორ კვირაში თავს დაესხა აფხაზეთს“* (ჰიუიტი, 2010).

ბუნებრივია, გაყალბებული ისტორიით ჰიუიტი არაერთხელ შეეცდება წარმოაჩინოს აფხაზების *„გაუსაძლისი ყოფა ქართული კოლონიალიზმის პირობებში“*, აღწეროს მათი თავგანწირული ბრძოლა „დამოუკიდებლობისთვის“. 1995 წელს *„Rutlege Grammars“*-ის გრიფით გამოვიდა ჰიუიტის წიგნი *„ქართული, სასწავლო გრამატიკა“*. გამოცემის ადგილად მითითებულია ქალაქები – ლონდონი და ნიუ-იორკი. ავტორი აღნიშნულ წიგნს უძღვნის აკაკი შანიძის ნათელ ხსოვნას (Hewitt, 1995).

ჰიუიტი საქართველოში კარგა ხანს იმყოფებოდა, ბევრი საუკეთესო მასწავლებელი ჰყავდა, საკმაო ენობრივი პრაქტიკაც ჰქონდა. ამიტომ სალაპარაკო ენაც თითქოს კარგად იცოდა. ყოველ შემთხვევაში ასეთი შთაბეჭდილება დატოვა მისმა გამოსვლამ ქართველი საზოგადოების წინაშე 1987 წ. 26 თებერვალს აკაკი შანიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე. მაგრამ ხსნებულ წიგნში წარმოდგენილი ქართული მეტყველების ნიმუშები სასურველ შთაბეჭდილებას ვერ ტოვებს.

ჰიუიტი აშკარად ცდილობს გამოიყენოს ქართული ენის სახელმძღვანელო თავისი პოლიტიკური შეხედულებების პროპაგანდისათვის. იგი ცდილობს დაუმტკიცოს უცხოელ მკითხველს, რომ ქართველები, მეგრელები და სვანები სხვადასხვა ერია და რომ ქართველები სხვა ერების მჩაგვრელები არიან. ნუთუ ავტორი ერთგვარ უხერხულობას მაინც არ გრძნობს იმ ადამიანის ხსოვნის წინაშე, რომელსაც ეძღვნება ეს წიგნი?

XX საუკუნის 70-იან წლებში დასავლეთის ქვეყნების თვალში საცემად განახლდა კავკასიის ხალხების ისტორიისა და ენების შემსწავლელი მეცნიერების ე. წ. კავკასიოლოგებისა და ქართველოლოგების აქტიურობა. საბჭოთა სპეცსამსახურები მათ განიხილავდნენ, როგორც დასავლეთის იდეოლოგიურ დივერსანტებს, რომლებიც აღნიშნული რეგიონების ხალხების ისტორიისა და ენების შესწავლის საფარით აგროვებდნენ მასალებს საბჭოთა ცენზურისაგან ტაბუდადებულ თემებსა და პრობლემატიკაზე. ერთ-ერთი ასეთი ქართველოლოგია ჯორჯ ჰიუიტი.

რაც შეეხება ჰიუიტის ე. წ. დიპლომატიურ რანგს, საკონსულო ურთიერთობების შესახებ ვენის კონვენციის პირველი მუხლის თანახმად, სახელმწიფოთა შორის საკონსულო ურთიერთობების დამყარება ხდება ერთმანეთთან თანხმობითა და ნებით. შესაბამისად, რადგან დიდი ბრიტანეთი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და არ სცნობს აფხაზეთის „რესპუბლიკას“, ლონდონში არ უნდა იყოს პიროვნება, რომელიც საკუთარ თავს აფხაზეთის „საპატიო კონსულს“ უწოდებს. ეს ფაქტი კონვენციის უხეში დარღვევაა.

მეთერთმეტე და მეთორმეტე მუხლების მიხედვით, კონსულს (მათ შორის, საპატიო კონსულსაც) უნდა ჰქონდეს წარმომდგენი (გამგზავნი) სახელმწიფოს მიერ გაცემული დოკუმენტი (პატენტი ვინაობის კატეგორიის, კლასის, საკონსულო ოლქის მითითებით). გარდა ამისა, კონსული (საპატიო კონსული) ვერ დაიწყებს თავისი ფუნქციის შესრულებას, თუ მას არ აქვს მიმღები სახელმწიფოს ნებართვა (ეგზექვატურა).[4]

ჯ. ჰიუიტმა მოსკოვის დავალებაც შეასრულა და აფხაზი სეპარატისტების გულიც მოიგო, „დიდი გასამრჯელოც“ მიიღო სამივე მხარისაგან ათასობით დაღუპულისა და ათასობით უსახლკაროდ დარჩენილი დევნილის ხარჯზე.

---

[4] საკონსულო პატენტი ეგზავნება მიმღებ სახელმწიფოს ეგზექვატურის მისაღებად - სპეციალური ნებართვა მიმღები სახელმწიფოსგან საკონსულო მოვალეობების შესასრულებლად. ითვლება, რომ კონსულმა თავისი მოვალეობა აიღო საკონსულო ეგზექვატურის მიღების მომენტიდან. ,,ვენის კონვენცია დიპლომატიური ურთიერთობის შესახებ''. დადებულია ქ. ვენაში, 1961 წლის 18 აპრილს.

მნიშვნელოვანია დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა გამონახოს რაიმე დიპლომატიური ფორმა და ოფიციალურად აცნობოს დიდი ბრიტანეთის საგარეო უწყებას აღნიშნული უკანონობის თაობაზე, რადგან გამოდის რომ, დიდ ბრიტანეთსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში საქართველოს საელჩოს პარალელურად, კიდევ ერთი წარმომადგენლობა – „აფხაზეთის რესპუბლიკის საპატიო საკონსულო“ და „საპატიო კონსული“ მოქმედებს.

მსგავსი მეცნიერები და მკვლევარები, რომლებიც ანტიქართული იდეებით ასაზრდოებენ საერთაშორისო საზოგადოებას ნეგატიურ ზეგავლენას მოახდენენ საქართველოს მიერ იურისდიქციის აღდგენასა და ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციაზე. ჯორჯ ჰიუიტის სეპარატისტული მოსაზრებების განეიტრალება და საერთაშორიოსო სამეცნიერო წრეებში მისი მხილება აუცილებელ ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნული ქმედების განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია ქართული სახელმწიფოს მხრიდან მოხდეს დიდ ბრიტანეთში ქართველი სტუდენტების (მკვლევარების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების) სასწავლებლად გაგზავნა, რომლებიც ღია დისკუსიის საშუალებით არგუმენტირებულად დაასაბუთებენ ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონის საქართველოს ისტორიულ კუთვნილებას და დაგმობენ ბრიტანელი მეცნიერის ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ექსპერტთა კლუბი (2015): ექსპერტთა კლუბი, აფხაზური სეპარატიზმი სუკ-ის ლაბირინთებში იშვა.– *Кавказ плюс. Общекавказская общественно политическая газета.* 20.11.2015 (https://www.kavkazplus.com/news.php?-id=292#.X7JRGHAzbIV).

კვატაია (2019): მანანა კვატაია. „ბედნიერი ტანჯულის“ ლიტერატურულ და პოლიტიკურ ველთა ექსისტენციური ვექტორების მიმართებისათვის.– XX საუკუნის 80-90-იანი წლების პოლიტიკური მოვლენები და ლიტერატურული დისკურსი. საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები, ნაწილი I, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი;

სამეგრელო (2015): გაზეთი ,,სამეგრელო'', ,,დედა ენა მეგრულად''. 01.03.2015. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/136276/1/Samegrelo_2015_N3.pdf

შენგელია (2016): ვაჟა შენგელია. ფრაგმენტები მოგონებიდან აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავაზე, არნოლდ ჩიქობავას საკითხავები, XXVII, 19-22 აპრილი, 2016, მასალები, თბილისი;

წულაძე (2010): ზაზა წულაძე. ჯორჯ ჰიუიტი: „საქართველომ აფხაზეთის დამოუკიდებლობა უნდა აღიაროს“.– ამერიკის ხმა. 27.07.2010 https://www.amerikiskhma.com/a/heitt-abkhazia-99338564/530684.html.

ჯორბენაძე (1989): ბესარიონ ჯორბენაძე. განუკითხავი ჩარევა, „ლიტერატურული საქართველო“, №29, 21.07.1989.

ჰიუიტი (1989): ჯორჯ ჰიუიტი. უცხოელის დაკვირვებანი აფხაზეთისა და ქართველების დაძაბულ ურთიერთდამოკიდებულებებზე, ღია წერილი ქართველებს, გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“, 21.07.1989.

ჰიუიტი (2010): ჯორჯ ჰიუიტი, საქართველოს ლამაზი, კეთილშობილი და უსარგებლო სტრატეგია.– GHN. საქართველოს ახალი ამბების სააგენტო. 25.02.2010 https://ghn.ge/news/9056.

Hewitt (1993): George Hewitt, Abkhazia: A problem of identity and ownership.– Central Asian Survey. Vol. 12, №3, 1993;

Hewitt (1995): George Hewitt, Yet a third consideration of Völker, Sprachen und Kulturen des südlichen Kaukasus.– Central Asian Survey. Vol. 14, №2, 1995;

Hewitt (1995): George Hewitt, Georgian: A Learner's Grammar, Routledge Essential Grammars, 1995;

Hewitt (2010): George Hewitt**,** The accelerated recognition of Georgia helped to instigate the ethno-political conflicts.– Caucasus Times, Региональное информационное агентство специализирующееся на новостях Юга России и Закавказья. 20.11.2010 http://georgehewitt.net/interviews/242-interview-with-caucasus-times.

Вартанян (2014): Олеся Вартанян, Джордж Хьюитт: „Я Смирился с тем, что не увижу эту часть мира“.– Эхо Кавказа. Проект Радио Свободная Европа. 23.05.2014 https://www.ekhokavkaza.com/a/25396117.html.

Abkhazinform (2015): Почетный Консул Республики Абхазия в Великобритании и а Странах Западной Европы Джордж Хьюитт Награжден Медалью Минобороны Абхазии „За Боевое Содружество“.19 ноября 2015 http://abkhazinform.com/item/2607-pochjotnyj-konsul-respubliki-abkhaziya-v-velikobritanii-i-v-stranakh-zapadnoj-evropy-dzhordzh-khyuitt-nagrazhden-medalyu-minoborony-abkhazii-za-boevoe-sodruzhestvo

Abkhazia inform (2015): ხაჯიმბამ და ჰიუიტმა გალის რაიონში არსებული სიტუაციის ასპექტები განიხილეს, - http://www.abkhazia.org.ge/index.php?content_id=1612&&cat_id=9016

Хьюитт (2015): Джордж Хьюитт, „Где би вы ни столкнулись с информацией, неверно интерпретирующей ситуацию в Абхазии, необходимо реагировать, говорить правду о том, что действительно происходит в Абхазии“.– Абхазия-Информ. Информационное агенство. 12.11.2015 http://abkhazinform.com/intervyu/item/2559-dzhordzh-khyuitt-gde-by-vy-ni-stolknulis-s-informatsiej-